შპს
ქ. თბილისის ფსიქიკური
ჯანმრთელობის ცენტრი

"MENTAL HEALTH CENTER
OF TBILISI" LTD

209446900

№ 355

„31" „აგვისტო" 2020 წ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგეხსენებათ, რომ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ განყოფილებებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო სერვისებში სრულფასოვანი სამკურნალო და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება ვერ ხერხდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია COVID19 პანდემიის პერიოდში გამოვლენილი მთელი რიგი სირთულეები, რაც პაციენტების უსაფრთხო მომსახურების უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ სტაციონარს არ აქვს იზოლირებული პალატები და შესაბამისად აღჭურვილი მიმღები განყოფლება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პაციენტების ტრიაჟი და დაყოვნება ინფიცირების საეჭვო შემთხვევების დროს, დაწესებულება იძულებულია, რომ ეპიდსაშიშ სიტუაციებში პაციენტების მიღება შეწყვიტოს. ეს მნიშვნელოვნად ართულებს მწვავე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების დროულ ჰოსპიტალიზაციას, რაც სამედიცინო პრობლემებთან ერთად, მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებსაც განაპირობებს.

მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების უსაფრთხო, ხარისხიანი და სრულფასოვანი (ბიოფსიქოსოციალურ პრინციპებზე დაფუძნებული) მომსახურების უზრუნველყოფისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს ჩაუტარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პირველ ეტაპზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მოწესრიგდეს მიმღები განყოფილება და ამბულატორია, ხოლო შემდგომ, ეტაპობრივად მოწესრიგდეს სტაციონარული განყოფილებები.

წერილს თან ახლავს ამბულატორიის და მიმღები განყოფილების რეკონსტრუქციის დეტალური გეგმა და ხარჯთაღრიცხვა (დანართი 1).

გთხოვთ განიხილოთ თბილისის ფსიქკური ჯანმრთელობის ცენტრში ამბულატორიული და მიმღები განყოფილების რეკონსტრუქციის შესაძლებლობა წლევანდელი ბიუჯეტის ფარგლებში.

პატივისცემით,

დირექტორი: /ბიძინა მგალობლიშვილი/